ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღების კონკურსის შემაჯამებელი სხდომის ოქმი

სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3
12 აგვისტო 2024 წელი 14:00 სთ.

დავით ერემეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
ვალერიან სილაგაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი

კონკურსის შემაჯამებელ შეხვედრას ესწრებოდნენ:

დავით ერემეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი- კომისიის თავმჯდომარე;
იუზა უგულავა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;

ზვიად არჩუაძე - ააიპ „მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბის" დირექტორი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
პეტრე ადამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი
დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ვალერიან სილაგაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;
გაგა სანდუხაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ლელა მაჩაიძე - პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის" გუნდის ლიდერი - კომისიის წევრი;

ნათია კობახიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა:

ემზარ ღვინიანიძე - „იმერეთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის" ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დღის წესრიგი

1. ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღების კონკურსში შემოსული განცხადებების განხილვა.
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N44.442421135 დანართი N1 „ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერი კონკურსის წესი და პირობები“-ს ცვლილება.

სხდომის მსვლელობა

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარე დავით ერემეიშვილმა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო კონკურსზე წარმოდგენილი ორი განაცხადი: შპს გრუპი არტი (ს/კ 412748576) „ტოპოგრაფიული დრონი, როგორც ინოვაციური ტექნოლოგია სამშენებლო პროექტის შესაქმნელად“ და განაცხადი: შპს გრუპი არტი (ს/კ 412748576) „3D პრინტერი, როგორც ინოვაციური ტექნოლოგია სერვისის/პროდუქტის მოდელირებისათვის“. კომისიის თავმჯდომარემ დააფიქსირა თავისი შეხედულება, რომ წარმოდგენილი განაცხადები ტექნიკური თვალსაზრისით არ არის გამართული და ვერ აკმაყოფილებს კომისიის მიერ წარდგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, კონკურსის პირობების გათვალისწინებით არ ფინანსედება საოფისე და IT ტექნიკის შეძენა. დავით ნიშნიანიძემ ასევე აღნიშნა, რომ გაუმართავია განაცხადების ბიუჯეტის ნაწილიც. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები. პეტრე ადამაძემ რეკომენდაციით მიმართა კომისიას, რომ მოხდეს კონკურსის ხელმეორედ გამოცხადება. იდეა მოიწონა დამსწრე კომისიის წევრებმა. აღნიშნული კონკურსით ბიზნესის მხრიდან გამოვლენილი ნაკლები ინტერესის გამო, რაც აისახა შემოსული განაცხადების რაოდენობაზე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შეეცვალათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N44.442421135 დანართი N1 „ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერი კონკურსის წესი და პირობები“ და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით. /დანართი N1/

დასკვნა

კომისიამ დაადგინა, რომ შპს გრუპი არტის (ს/კ 412748576) განაცხადი „ტოპოგრაფიული დრონი, როგორც ინოვაციური ტექნოლოგია სამშენებლო პროექტის შესაქმნელად“ და შპს გრუპი არტის (ს/კ 412748576) განაცხადი „3D პრინტერი, როგორც ინოვაციური ტექნოლოგია სერვისის/პროდუქტის მოდელირებისათვის“ არის ტექნიკურად გაუმართავი. შესაბამისად კომისიამ არ განიხილა ისინი. ასევე მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N44.442421135 დანართი N1 „ადგილობრივი პროდუქტების გადამუშავების, ტექნოლოგიების და სერვისების, აგრეთვე გასაღების ახალი არხების გამოსაყენებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერი კონკურსის წესი და პირობები“-ს დანართი N1 შესაბამისად ცვლილებასა და კონკურსის თავიდან გამოცხადების შესახებ.

დავით ერემეიშვილი

ზვიად არჩუაძე

იუზა უგულავა

პეტრე ადამაძე

დავით ნიშნიანიძე

ვალერიან სილაგაძე

გაგა სანდუხაძე

ლელა მაჩაიძე

ნათია კოზახიძე